

**THE LINGUISTIC SITUATION IN GEORGIA ON THE EXAMPLE OF
AZERBAIJANIS AND ARMENIAN ETHNIC MINORITIES**

ენობრივი სიტუაცია საქართველოში აზერბაიჯანულ და სომხურ ეთნიკურ
უმცირესობათა მაგალითზე

NATIA KENTCHIASHVILI

PhD in Philology

ORCID:0000-0002-8230-7633

natia.kentchiashvili@gmail.com

+995577785559

Abstract

The aim of this article is to study the linguistic situation in Georgia on the example of ethnic minorities, in particular, the object of the research is the two most numerous ethnic groups living in Georgia in the form of Azerbaijanis and Armenians. In this article I review sociolinguistic terminology related to the research, such as the terms "minority", "majority", "ethnic minority", "ethnic majority", "linguistic situation", "native language", "mother tongue", "first language", "second language", "foreign language", etc. I focused on the survey method from the sociolinguistic research methodology and for this purpose, I compiled a special sociolinguistic questionnaire. Based on statistical data, I use the data of the 2014 census of the population of Georgia. According to the mentioned data, statistics on ethnic and religious grounds have already been established, but it is also interesting to see the linguistic situation in Georgia on the example of Azerbaijani and Armenian ethnic minorities in this regard. In this case, the language used by ethnic minorities is the subject of the study. In this case the subject of research is the languages used by ethnic minorities in Georgia. To describe the linguistic situation, the research area includes the languages used by ethnic Azerbaijanis and Armenians in Georgia, primarily Azerbaijani and Armenian as the first language, as well as Georgian and Russian as a second language and English or other European languages as foreign languages.

Keywords: The linguistic situation in Georgia, Azerbaijanis and Armenian ethnic minorities

ნათია კენტჩიაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი,

ORCID:0000-0002-8230-7633

natia.kentchiashvili@gmail.com

+995577785559

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიის მიზანია ენობრივი სიტუაციის შესწავლა საქართველოში ეთნიკური უმცირესობების მაგალითზე, კერძოდ კი, საქართველოში მცხოვრები ორი ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფის აზერბაიჯანელებისა და სომხების სახით. სტატიაში ჩვენ მიმოვიხილავთ კვლევასთან დაკავშირებულ სოციოლინგვისტურ ტერმინოლოგიას, როგორცაა ტერმინები: „უმცირესობა“, „უმრავლესობა“, „ეთნიკური უმცირესობა“, „ეთნიკური უმრავლესობა“, „ენობრივი სიტუაცია“, „მშობლიური ენა“,

„დედაენა“, „პირველი ენა“, „მეორე ენა“, „უცხო ენა“ და სხვ. სოციოლინგვისტური კვლევის მეთოდოლოგიიდან აქცენტი გავაკეთეთ ანკეტური კვლევის მეთოდზე და ამ მიზნით შევადგინეთ სპეციალური სოციოლინგვისტური კითხვარი. სტატისტიკური მონაცემების მოყვანისას, ვიყენებთ საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებს. აღნიშნული მონაცემის მიხედვით, დადგენილია საქართველოში მცხოვრები უმცირესობები ეთნიკური და რელიგიური ნიშნით, თუმცა, ასევე საინტერესოა ის, თუ როგორი ენობრივი სიტუაცია არის ამ მხრივ საქართველოში, აზერბაიჯანული და სომხური ეთნიკური უმცირესობების მაგალითზე. ენობრივი სიტუაციის აღწერის დროს, ჩვენი კვლევის არეალში შემოდის საქართველოში გავრცელებული ის ენები, რომლებიც გამოიყენება ეთნიკური აზერბაიჯანელებისა და სომხების მიერ, მათ რიცხვში კი მოიაზრება, უპირველეს ყოვლისა, აზერბაიჯანული და სომხური, როგორც პირველი ენა, ასევე ქართული და რუსული, როგორც მეორე ენა და ინგლისური ან სხვა ევროპული ენა, როგორც უცხო ენა.

საკვანძო სიტყვები: ენობრივი სიტუაცია საქართველოში, აზერბაიჯანური და სომხური ეთნიკური უმცირესობები

შესავალი

წინამდებარე სტატიის მიზანია ენობრივი სიტუაციის შესწავლა საქართველოში მცხოვრები ორი ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური უმცირესობის – აზერბაიჯანელებისა და სომხების – მაგალითზე. სტატიაში ჩვენ მიმოვიხილავთ სოციოლინგვისტურ კვლევასთან დაკავშირებულ ძირითად ტერმინოლოგიას, როგორცაა ტერმინები: „უმცირესობა“, „უმრავლესობა“, „ეთნიკური უმცირესობა“, „ეთნიკური უმრავლესობა“, „ენობრივი სიტუაცია“, „მშობლიური ენა“, „დედაენა“, „პირველი ენა“, „მეორე ენა“, „უცხო ენა“ და სხვ. სოციოლინგვისტური კვლევის მეთოდოლოგიიდან უპირატესობა მივანიჭეთ ანკეტური კვლევის მეთოდს, რისთვისაც შევადგინეთ სპეციალური სოციოლინგვისტური კითხვარი. სტატისტიკური მონაცემების მოყვანისას, ვეყრდნობით საქართველოს მოსახლეობის ბოლო, 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებს. ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების გარდა, საქართველოს ენობრივი მრავალფეროვნებაც ახასიათებს, სხვა სიტყვები რომ მოვიყვანოთ, „კავკასია ენობრივ-ეთნიკური სიჭრელის კლასიკური გეოგრაფიული რეგიონია“ (თოფჩიშვილი, 2004: 109). ამიტომ, ვფიქრობთ, ასევე საინტერესო უნდა იყოს იმის შესწავლა, თუ როგორი ენობრივი სიტუაციაა საქართველოში აზერბაიჯანული და სომხური ეთნიკურ უმცირესობების შემთხვევაში.

1. ტერმინოლოგიის საკითხისთვის

ცნებები „უმცირესობა“ და „უმრავლესობა“ სოციოლინგვისტიკის საბაზისო ცნებებია და მოსახლეობის რაოდენობრიობას ეფუძნება ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი ნიშნის მიხედვით¹. ცნება უმცირესობა აღნიშნავს ადამიანთა ჯგუფს, რომელიც საზოგადოების უმეტესი ნაწილისაგან (უმრავლესობა) განსხვავდება სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობით, პოლიტიკური ან რელიგიური შეხედულებების მიხედვით,

¹ შენიშვნა: „ჯგუფები, რომელთაც გააჩნიათ განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი მახასიათებლები, შეიძლება წარმოადგენდნენ ეთნიკურ, რელიგიურ ან ენობრივ უმცირესობებს. ეს არ გამოირიცხავს შესაძლებლობას, რომ ერთსა და იმავე ჯგუფს ამ მახასიათებლების ერთობლიობა ან პირიქით მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი გააჩნდეთ“ (ხაინდრავა, 2008: 7).

ეთნიკური და ენობრივი ნიშნით. განვიხილოთ ორივე ცნების – უმცირესობისა და უმრავლესობის – ურთიერთმიმართების საკითხი საქართველოს მაგალითზე.

ცხრილი 1. საქართველოს მოსახლეობა 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით

ეროვნებები	სულ	პროცენტული განაწილება
სულ მოსახლეობა	3 713,8	100,0
მათ შორის:		
1. ქართველი	3 224,6	86,8
2. აზერბაიჯანელი	233,0	6,3
3. სომეხი	168,1	4,5
4. რუსი	26,5	0,7
5. ოსი	14,4	0,4
6. იეზიდი	12,2	0,3
7. უკრაინელი	6,0	0,2
8. ქისტი	5,7	0,2
9. ბერძენი	5,5	0,1
10. ასირიელი	2,4	0,1
11. სხვა	14,3	0,4
12. უარი პასუხზე	0,6	0,0
13. ეროვნება მითითებული არ არის	0,5	0,0

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, ეთნიკური ქართველები შეადგენენ მოსახლეობის საერთო რაოდენობის 86,8%-ს, ხოლო სხვა ეთნიკური ჯგუფები – 13,2%-ს (იხ. ცხრილი 1). აქედან გამომდინარე, ქართველები საქართველოს სინამდვილეში ეთნიკურ უმრავლესობას წარმოადგენენ, ყველა დანარჩენი ეთნიკური ჯგუფი კი – უმცირესობას. სახელმწიფოს მოწყობისა და, შესაბამისად, სტატისტიკური მონაცემების დამუშავების დროს გამოყენებული ცნებები – ეთნიკური ან ენობრივი „უმრავლესობა / უმცირესობა“ – მოცემულ შემთხვევაში კვანტიტატიური ტერმინებია და არა კვალიტატიური. ამ ცნებებს აღნიშნული ტერმინებით მარკირებული საზოგადოების თვისობრივ ხასიათთან კავშირი არა აქვს, იგი მას მხოლოდ რაოდენობრივი თვალსაზრისით ახასიათებს (თანდაშვილი, 2016: 87). სხვაგვარად რომ ითქვას, უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ჯერ ერთი, ეთნიკური ჯგუფები ყოველთვის არ ცხოვრობენ კომპაქტურად და, აქედან გამომდინარე, განსხვავებულ ენობრივ გარემოში უხდებათ არსებობა, მეორეც, სოციუმის/ინდივიდის ეთნიკური მახასიათებელი ენობრივი მახასიათებლის ცალსახა იმპლიკაციას არ ახდენს (საქართველოში მცხოვრები ებრაელების მშობლიური ენა ქართული ან რუსულია, ბერძნების კი ბერძნული ან ურუმული), ენობრივი „უმრავლესობა“ ან „უმცირესობა“ „ეთნიკურ უმრავლესობა“ / „უმცირესობასთან“ მიმართებით უნდა განვიხილოთ როგორც თვისობრივ რანგში აყვანილი კვალიტატიური ტერმინი, რამდენადაც ეთნიკური ჯგუფების შიგნით ქვეჯგუფების გამოყოფის საშუალებას იძლევა (მაგალითად, თურქულენოვანი და ბერძნულენოვანი ბერძნები, ქართველი და რუსი ებრაელები, თბილისელი და ახალქალაქელი სომეხები) (თანდაშვილი, 2016: 87). ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ წინამდებარე სტატიაში, აზერბაიჯანული და

სომხური ეთნიკური ჯგუფების აღსანიშნავად, ვიყენებთ ტერმინს „ეთნიკული უმცირესობები“².

შემდეგი ტერმინი, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია, არის „ენობრივი სიტუაცია“. ენობრივი სიტუაცია სოციოლინგვისტური ტერმინია, რომელიც გულისხმობს მოცემულ გეოგრაფიულ არეალში, მოცემულ დროში, მოცემული საზოგადოების მიერ გამოყენებული ენების გავრცელებულობის, მათი ურთიერთმიმართებისა და ფუნქციონირების კვლევას (თანდაშვილი, 2016: 88). ტერმინი აღნიშნავს ენის გამოყენების საერთო კონფიგურაციას მოცემულ დროსა და მოცემულ ადგილზე და მოიცავს ისეთ მონაცემებს, როგორებიცაა: რამდენი ენა და რომელი ენები (დიალექტები) გამოიყენება მოცემულ არეალში, რამდენი ადამიანი ლაპარაკობს მათზე, რა ვითარებაში, რა განწყობები და დამოკიდებულებები აქვთ მოცემული საზოგადოების წევრებს ამ ენების მიმართ და სხვ. (Ferguson, 1971: 157).

დაბოლოს, ტერმინები, რომლებიც ასევე უნდა განვიხილოთ, არის მშობლიური ენა / დედაენა, უცხო ენა, მეორე ენა. საინტერესო მიმართებაა ქართულ სინამდვილეში ტერმინებს „მშობლიურ ენას“ და „დედაენას“ შორის. „ევროპულ ენათმეცნიერებაში მშობლიური ენის აღსანიშნავად მეტწილად გამოიყენება დედის სემანტიკის მომცველი შესიტყვებანი (ინგ. Mother tongue, გერმ. Muttersprache, შვედ. Modersmål, ფრანგ. La langue maternelle, ესპ. La lengua materna, ქართ. დედაენა და ა.შ.); ამავე მნიშვნელობით (პრაქტიკულად, როგორც სინონიმს) განიხილავენ ტერმინს მშობლიური ენა (ინგ. Native Language, რუს. Родной язык, ქართ. მშობლიური ენა)“ (გაბუნია, ეზუგბაია, ქირია, 2010: 25-26; გაბუნია, 2014: 47). სწორი შენიშვნა არის გამოთქმული იმასთან დაკავშირებით, რომ „თუკი მშობლიურ ენას ტრადიციული გაგებით მივუდგებით (ეს არის ენა, რომლის მეშვეობითაც ბავშვი ლინგვისტური „წესების“ გაცნობიერებასა და შეთვისებას იწყებს მის უშუალო გარემოში და, ამავე დროს, იძენს კომუნიკაციური ქცევის წესებს), ტოლობის ნიშნის დასმა ტერმინებს მშობლიურ ენასა და დედაენას შორის მიზანშეუწონელია; ცხადია, რომ ტერმინს – დედაენა დღეს უკვე შეძენილ-შეთვისებული აქვს დამატებითი ნიუანსები, რაც ტერმინს მშობლიური ენისათვის დამახასიათებელი არ არის“ (გაბუნია, 2014: 48).

წინამდებარე სტატიაში შეგნებულად ვარიდებთ თავს ტერმინების – „მშობლიური ენა“ და „დედაენა“ – გამოყენებას და უპირატესობას ვანიჭებთ ტერმინს პირველი ენა – ეს არის აკადემიური ტერმინი იმ ენის აღსანიშნავად, რომელსაც ადამიანი ბუნებრივად, უმთავრესად ოჯახში, მშობლების გარემოცვაში, ყოველგვარი ინსტრუქციების გარეშე, ადრეულ ასაკში ეუფლება (გაბუნია, ეზუგბაია, ქირია, 2010: 23-24). რაც შეეხება განსხვავებას ტერმინებს – მეორე ენასა და უცხო (უცხოურ) ენას – შორის, მეორე ენა არის სხვა ნებისმიერი ენა, რომელსაც ადამიანი სწავლობს პირველი ენის შემდეგ. აქ აქცენტი გადატანილია გეოგრაფიული და სოციალური გარემოს მნიშვნელობაზე, ანუ ეს ენა შეისწავლება იმ გარემოში, რომელშიც ამ ენაზე საუბრობენ. ეს არ არის ე.წ. უცხო (უცხოური) ენა. მეორე ენა გულისხმობს არა მხოლოდ დაუფლების თანამიმდევრობას, არამედ ხაზს უსვამს ენობრივი სახესხვაობის სოციოლინგვისტურ სტატუსს. რაც შეეხება უცხო ენას, ის ეწოდება იმ ენას, რომლის მოხმარებაც არ სცდება კონკრეტული გამოყენების ფარგლებს (გაბუნია, 2014: 49).


² გაეროს სისტემაში უფრო მიღებული და დამკვიდრებული ტერმინია „ეთნიკური უმცირესობა“ მაშინ, როცა ევროპის საბჭოს სისტემაში ამ ჯგუფს „ეროვნულ უმცირესობას“ უწოდებენ. გაეროს ფარგლებში მიღებულ კონვენციებში გვხვდება „ethnic minorities“, ხოლო ევროპის საბჭოს კონვენციებში – „national minority“ (ფირანიშვილი, 2019: 9).

2. კვლევის საგანი

ჩვენი კვლევის საგანია ენობრივი სიტუაცია საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების, მათ შორის კი, აზერბაიჯანელებისა და სომხების მაგალითზე. ორივე ეთნიკური ჯგუფი, გარდა იმისა, რომ ყველაზე მრავალრიცხოვანი სახით არის წარმოდგენილი, ამავე დროს კომპაქტურად სახლობს საქართველოს რამდენიმე რეგიონში (კომახია, 2011: 20). საგანგებოდ უნდა გამოვყოთ 2 რეგიონი, სადაც კომპაქტურად არიან განსახლებულნი უმცირესობათა წარმომადგენლები, მათ შორის, აზერბაიჯანელები – ქვემო ქართლში, ხოლო სომხები – სამცხე-ჯავახეთში.

აღსანიშნავია, რომ ამ ეთნიკური ჯგუფების კომპაქტური განსახლებები ესაზღვრება მათ ეთნიკურ სამშობლოს, მაგალითად, ქვემო ქართლის რეგიონი, სადაც კომპაქტურად სახლობენ ეთნიკურად აზერბაიჯანელები, ესაზღვრება აზერბაიჯანის სახელმწიფოს, ხოლო სამცხე-ჯავახეთი, სადაც კომპაქტურად სახლობენ ეთნიკურად სომხები – სომხეთის სახელმწიფოს.

ცხრილი 2. საქართველოში მცხოვრები ძირითადი ეთნიკური ჯგუფები სტატისტიკური მონაცემების მიხედვით (2014 წლის საქართველოს საყოველთაო აღწერის მონაცემებით)



აზერბაიჯანელები ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენენ საქართველოში. ისინი, ძირითადად, ცხოვრობენ ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, კახეთში, ასევე თბილისსა და რუსთავეში, ამათგან უმრავლესობას შეადგენენ ქვემო ქართლის შემდეგ მუნიციპალიტეტებში: მარნეულში (83,8%), დმანისსა (65,5%) და ბოლნისში (63,4%) (თოდრამე, შავიშვილი (რედ.), 2018). სტატისტიკურად მათი რაოდენობა საქართველოს მთელი მოსახლეობის 6,3 %-ია (იხ. ცხრილი 2). გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ ისინი არიან თურქულენოვანი წარმომავლობის მუსლიმური ეთნიკური ჯგუფი. აზერბაიჯანული ენა ალთაურ ენათა ოჯახის თურქულ ჯგუფს მიეკუთვნება. აზერბაიჯანელები საბჭოთა პერიოდში სამწერლობო ანბანად „კირილიცას“ იყენებდნენ, დღეს კი ლათინური ანბანით წერენ. ამ ენას ისინი ოჯახებსა და სკოლებში სწავლობენ. საქართველოს უნივერსიტეტებში ჩასარიცხად, აზერბაიჯანულენოვან აბიტურიენტებს უფლება აქვთ, მისაღები გამოცდები მხოლოდ ერთ საგანში (ზოგადი უნარები) ჩააბარონ მშობლიურ ენაზე და პირველი კურსის განმავლობაში ქართული შეისწავლონ. საქართველოში გამოიცემა 20-მდე აზერბაიჯანულენოვანი გაზეთი და ჟურნალი (მაგ.: ყოველკვირეული „გურჯისტანი“ და ყოველთვიური „ოზანი“). ამ ენაზე მზადდება ყოველდღიური საინფორმაციო გადაცემებიც ცენტრალურ და ქვემო ქართლის რეგიონულ ტელევიზიებში (უმცირესობათა ენები საქართველოში, 2016: 5).

სომხები ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური უმცირესობაა საქართველოში აზერბაიჯანელების შემდეგ. სტატისტიკურად მათი რაოდენობა საქართველოს მთელი მოსახლეობის 4,5%-ს შეადგენს (იხ. ცხრილი 2). სხვადასხვა რაოდენობით ცხოვრობენ ქვეყნის ქალაქებსა და რეგიონებში. განსაკუთრებით მრავალრიცხოვნად არიან წარმოდგენილნი თბილისსა და სამცხე-ჯავახეთში. სომხები უმრავლესობას შეადგენენ სამცხე-ჯავახეთის შემდეგ ორ მუნიციპალიტეტში: ახალქალაქსა (92,9%) და ნინოწმინდაში (95,0%). თბილისში ქართველების შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკურ ჯგუფს სწორედ სომხები შეადგენენ (4,8%). სომხები, აზერბაიჯანელებისგან განსხვავებით, საქართველოს უფრო მეტ მუნიციპალიტეტში არიან განსახლებულნი, თუმცა მათი რაოდენობა აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში პროცენტული შეფარდებით შედარებით დაბალია (თოდრაძე, შავიშვილი (რედ.), 2018). სომხური ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახს განეკუთვნება და საკუთარი დამწერლობა აქვს მსოფლიოს სხვა ანბანურ დამწერლობათა შორის. საქართველოში მცხოვრები სომხების უმრავლესობა გრიგორიანულ ეკლესიას მიეკუთვნება. ფუნქციონირებს კულტურის ცენტრები და ანსამბლები. გამოიცემა ჟურნალ-გაზეთები (მაგ.: ყოველკვირეული „ვრასტანი“ და ყოველთვიური „არევიკი“) და წიგნები. საზოგადოებრივი მაუწყებელი სომხურ ენაზე ამზადებს ყოველდღიურ საინფორმაციო ტელე- (მეორე არხი) და რადიოგადაცემებს. ამ ენაზე სამცხე-ჯავახეთში რადიომაუწყებლობა და რეგიონული ტელევიზიებიც არსებობს (უმცირესობათა ენები საქართველოში, 2016: 14).

2018 წლის მონაცემებით, საქართველოში 271 არაქართულენოვანი და შერეული სექტორის მქონე საჯარო სკოლა იყო, რომელთაგან 115 წარმოადგენს სომხურენოვან სკოლას, 82 – აზერბაიჯანულენოვანს, ხოლო 29 არის ქართულ-აზერბაიჯანული, 8 ქართულ-სომხური (ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა, 2019: 26). მნიშვნელოვანია, რომ შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის აზერბაიჯანელი ეთნიკური ჯგუფი ზოგად განათლებას იღებენ განსხვავებულ ენებზე (შიდა ქართლში – ქართულად, ქვემო ქართლში – აზერბაიჯანულად).

3. კვლევის მეთოდოლოგია (სოციოლინგვისტური გამოკითხვის მეთოდი)

სოციოლინგვისტური კვლევისათვის საგანგებო მეთოდოლოგია არსებობს: ზეპირი ინტერვიუ, ანკეტობრივი გამოკითხვა, ანკეტირება და სხვ. ანკეტირება ინფორმაციის მოპოვების ყველაზე გავრცელებული და ერთ-ერთი ყველაზე საიმედო ხერხია (ლაღარია, 2002: 127-129). საზოგადოდ, სოციოლინგვისტური კვლევა გულისხმობს არა საკუთრივ ენის, მისი შინაგანი სტრუქტურა-შედგენილობის ანალიზს, არამედ იმის აღწერას, თუ როგორ გამოიყენებენ ადამიანთა სოციალური ჯგუფები ამა თუ იმ ენას / ენებს. ენის შინაგანი სტრუქტურა აპრიორი მიიღება, როგორც არსებული მონაცემი, ხოლო სოციოლინგვისტიკისთვის საინტერესოა ის, თუ სოციალური ცხოვრების რომელ სფეროებში გამოიყენება საკვლევი ენები; როგორია მათ შორის ურთიერთმიმართება სტატუსისა და ფუნქციური გადაწინააღმდეგობის თვალსაზრისით; რომელია სახელმწიფო ენა, ანდა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობის ძირითადი (თუმცა არაოფიციალური) ენა; რომელი ენები იხმარება რელიგიური, საოჯახო თუ ყოფითი ურთიერთობის ენების ფუნქციით და ა.შ. (გაბუნია, ეზუგბაია, ქირია, 2010: 3-4).

იურიდიული (სახელმწიფო, რეგიონული, ენობრივი უმცირესობის) სტატუსის მქონე ენების სოციოლინგვისტური კვლევა საკონსტიტუციო და ნორმატიული აქტებისა და ანკეტური გამოკვლევების შედეგების განხილვას ემყარება, სტატუსის არმქონე ენების

კვლევის დროს კი ანკეტური გამოკითხვა გამოიყენება იმის დასადგენად, თუ როდის და რა ვითარებაში იყენებს ესა თუ ის პიროვნება ამა თუ იმ ენას (გაბუნია, 2014: 54-55). ჩვენს შემთხვევაში, კვლევის საგანია სწორედ ის ენები, რომლებსაც ეთნიკური უმცირესობები იყენებენ. ენობრივი სიტუაციის აღწერის დროს ჩვენი კვლევის არეალში შემოდის საქართველოში გავრცელებული ის ენები, რომლებიც გამოიყენება ეთნიკური აზერბაიჯანელებისა და სომხების მიერ, მათ რიცხვში კი მოიაზრება, უპირველეს ყოვლისა, აზერბაიჯანული და სომხური, როგორც პირველი ენა, ასევე ქართული და რუსული, როგორც მეორე ენა და ინგლისური ან სხვა ევროპული ენა, როგორც უცხო ენა.

კითხვარებში, რომლებიც გამოიყენება სოციოლინგვისტური კვლევებისას, ენობრივ საკითხებზე დასმული შეკითხვები, როგორც წესი, აქცენტს აკეთებს, ერთი მხრივ, პირველ ენაზე, მეორე მხრივ – ყოველდღიურად გამოყენებულ მეორე ენაზე, რომელზეც ლაპარაკობენ სახლში, მეზობლებთან, სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობისას, სკოლაში, უნივერსიტეტში, სამსახურში და ა.შ.; ძალიან მცირე აღწერა მოიძებნება, რომელთა კითხვარებში შესულია ისეთი კითხვები, რომ გამოავლინოს იმ ენების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია, რომლებსაც რესპონდენტი ფლობს. ვფიქრობთ, ამ მხრივ კითხვარები, რომელიც წინამდებარე კვლევის ფარგლებში დამუშავდა, საკმაოდ ინფორმაციულია.

კითხვარებში რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ, მოენიშნათ ერთზე მეტი პასუხი, რათა მიგველო უფრო მეტი ინფორმაცია ენის / ენების სხვადასხვა ფუნქციითა და ინტენსივობით გამოყენების დასადგენად.

ინდივიდის მრავალენოვანი რეპერტუარი, როგორც ზემოთ ითქვა, შედგება სხვადასხვა ენისგან, რომელთაც ის დაეუფლება სხვადასხვა გზით (ბავშვობაში, სწავლებით, დამოუკიდებელი სწავლით და ა.შ.) და ამ პროცესში ის დაეუფლა სხვადასხვა უნარს (ზეპირი მეტყველება, კითხვა, წერა და ა.შ.) სხვადასხვა დონეზე. ამ ენებს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფუნქცია და დანიშნულება, მაგალითად, ოჯახის შიგნით კომუნიკაციის, მეზობლებთან ურთიერთობისას, სწავლის პროცესში თუ სამსახურში და სხვ. ენა წარმოადგენს საფუძველს, რომელიც კრავს გარკვეულ ჯგუფს კულტურული მახასიათებლების მიხედვით, საიდენტიფიკაციო ენის გარშემო. ენობრივი რეპერტუარი განსხვავებულია: ზოგიერთ ჯგუფს გააჩნია იდენტური ენობრივი რეპერტუარი, რაც განპირობებულია ისტორიული თუ გეოგრაფიული მიზეზებით და ენობრივი რეპერტუარიდან ინდივიდი ირჩევს რომელიმე ერთს, სიმბოლურ ენას, რომლის გარშემოც ყალიბდება ჯგუფი, თუმცა, ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ენობრივ რეპერტუარში შეძვალ სხვა ენებს კარგავს. ხდება სხვა ენების შენიღბულად ან თვითცენზურით გამოყენება, ანუ არ ხდება ამ ენებთან ინდივიდის თვითიდენტიფიკაცია, თუმცა ხდება ამ ენების გარემოებებიდან და სიტუაციიდან გამომდინარე გამოყენება.

რაოდენობრივი კვლევის სამიზნე ჯგუფში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით აღმოჩნდნენ რესპოდენტები საქართველოს შემდეგი ადგილებიდან: თბილისი, ახალქალაქი, ახალციხე, მარნეული, ნინოწმინდა, საგარეჯო, ლაგოდეხი. კვლევაში მონაწილეობას იღებდა 18-დან 30 წლამდე ასაკის 100 რესპონდენტი. ყველა მათგანი არის სკოლადამთავრებული, ხოლო ნაწილი – სტუდენტი, ნაწილი კი – უნივერსიტეტდამთავრებული. ამდენად, კვლევის შედეგები შეგვიქმნის ზოგად წარმოდგენას უახლესი პერიოდის (1990-იანი წლების შემდგომ) საქართველოში აზერბაიჯანულ და სომხურ ეთნიკურ უმცირესობებში ენობრივი სიტუაციის შესახებ.

კვლევისას გამოვიყენეთ სპეციალური სოციოლინგვისტური კითხვარი (ანკეტირების მეთოდი), რომელშიც წარმოდგენილია კითხვათა მთელი მრავალფეროვნება (ქვემოთ იხ. ცხრილი 3 და ცხრილი 4). გამოკითხვა ჩატარდა დისტანციურად, ელექტრონულ ფორმატში.

**3.1. სოციოლინგვისტური კითხვარის ანალიზი
(მსჯელობა და შედეგები)**

ჩვენ მიერ კვლევის ფარგლებში შედგენილი სოციოლინგვისტური კითხვარი უმნიშვნელოვანესია რესპონდენტთა ენობრივი რეპერტუარის გამოყენების სფეროების დასადგენად. როგორც ცნობილია, სოციოლინგვისტიკაში გამოყოფენ წერილობით და ზეპირი მეტყველების ენას: ეს არის ენის სხვადასხვა ფორმის დანიშნულება და იმაზე დამოკიდებული, თუ რომელი სფერო გამოიყენება (ლაპარაკი / მეტყველება თუ წერა / კითხვა). კომუნიკაციის ამ ორ ფორმას აქვს საკუთარი მახასიათებლები: სტრუქტურა, ორგანიზაცია, რეესტრი (ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარება ევროპაში – სახელმძღვანელო პრინციპები, 2008: 134-137). ამ ფაქტორების გათვალისწინებით, კითხვები დაიყო 2 ჯგუფად: 1. კითხვები, რომლებიც ეხება რესპონდენტთა ზეპირ (ამასთანავე, არაფორმალურ) კომუნიკაციას (ლაპარაკისა და მოსმენის უნარები); 2. კითხვები, რომლებიც რესპონდენტთა წერიტი ფორმის კომუნიკაციის რეპერტუარს ასახავს (კითხვისა და წერის უნარები) (იხ. ცხრილი 3 და ცხრილი 4).

ცხრილი 3. ლინგვისტური კითხვარი: I ჯგუფის კითხვარი

ა. ენის გამოყენება შინ	
1.	რომელ ენაზე ელაპარაკებით / ელაპარაკებოდით მამათქვენს?
2.	რომელ ენაზე ელაპარაკებით / ელაპარაკებოდით დედათქვენს?
3.	რომელ ენაზე ელაპარაკებით / ელაპარაკებოდით დედმამიშვილებს?
4.	რომელ ენაზე ელაპარაკებით / ელაპარაკებოდით მეუღლეს?
5.	რომელ ენაზე ელაპარაკებით / ელაპარაკებოდით შვილებს?
6.	რომელ ენაზე საუბრობენ / საუბრობდნენ თქვენი მშობლები?
7.	რომელ ენაზე საუბრობენ / საუბრობდნენ თქვენი ბებია და ბაბუა?
8.	რომელ ენაზე მეტყველებს / მეტყველებდა თქვენი მეუღლე?
9.	რომელ ენაზე ელაპარაკება / ელაპარაკებოდა მეუღლე შვილებს?
10.	რომელ ენაზე ელაპარაკება / ელაპარაკებოდა მეუღლე თქვენს მშობლებს?
11.	რომელ ენაზე / ენებზე ლაპარაკობდნენ თქვენი შვილები სკოლაში შესვლამდე?
12.	რომელ ენაზე / ენებზე ლაპარაკობენ / ლაპარაკობდნენ თქვენი შვილები ერთმანეთთან სახლში?
13.	რა ენაზე ლოცულობთ თქვენთვის, როცა მარტო ხართ?
14.	რა ენაზე ლოცულობთ ეკლესიაში?
15.	რა ენაზე ბრაზობთ, იგინებით?
16.	რა ენაზე ანგარიშობთ (ითვლით)?
17.	რა ენაზე ელაპარაკებით საკუთარ თავს, როცა მარტო ხართ?
18.	რა ენაზე ოცნებობთ?
ბ. ენის გამოყენება ყოველდღიურ ყოფაში (თემში)	
1.	რომელ ენაზე ელაპარაკებით მეზობლებს?
2.	ყველაზე ხშირად რომელ ენაზე გიწევთ საუბარი თქვენს სოფელში (უბანში)?
3.	ყველაზე ხშირად რომელ ენაზე გიწევთ საუბარი სოფლის უხუცესებთან?
4.	ყველაზე ხშირად რომელ ენაზე გიწევთ / გიწევდათ საუბარი საყიდლებზე ყოფნისას?
გ. ენის გამოყენება ოფიციალურ სტრუქტურებთან	

1.	ყველაზე ხშირად რომელ ენაზე გიწევთ / გიწევდათ საუბარი უნივერსიტეტში ყოფნისას?
2.	ყველაზე ხშირად რომელ ენაზე გიწევთ / გიწევდათ საუბარი თანამშრომლებთან?
3.	ყველაზე ხშირად რომელ ენაზე გიწევთ / გიწევდათ საუბარი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციასთან?
4.	ყველაზე ხშირად რომელ ენაზე გიწევთ / გიწევდათ საუბარი საავადმყოფოში?
5.	ყველაზე ხშირად რომელ ენაზე გიწევთ / გიწევდათ საუბარი სკოლაში მასწავლებლებთან?
6.	ყველაზე ხშირად რომელ ენაზე გიწევთ / გიწევდათ საუბარი ავტოსადგურის / რკინიგზის სადგურის სალაროებში?
7.	რომელ ენაზე / ენებზე ისმენთ საინფორმაციო გადაცემებს (ტელევიზიით, რადიოთი, ინტერნეტით და ა.შ.)?

ცხრილი 4. ლინგვისტური კითხვარი: II ჯგუფის კითხვარი

ა. ენის გამოყენება კითხვისას / წერისას	
1.	რომელ ენაზე / ენებზე კითხულობთ ჟურნალ-გაზეთებს?
2.	რომელ ენაზე / ენებზე კითხულობთ მხატვრულ ლიტერატურას?
3.	რომელ ენაზე / ენებზე კითხულობთ სამეცნიერო-სასწავლო ლიტერატურას?
4.	რომელ ენაზე / ენებზე გამოცემული წიგნები გაქვთ სახლში?
5.	რა ენაზე / ენებზე წერთ პირად ჩანაწერებს / დღიურს?
6.	რა ენაზე / ენებზე წერთ წერილებს?
7.	რა ენაზე / ენებზე აკეთებთ ჩანიშვნებს?

კითხვარის შედგენისას, გავითვალისწინეთ საქართველოში გავრცელებული ყველა ის ენა, რომლებიც გამოიყენება ეთნიკური აზერბაიჯანელებისა და სომხების მიერ, მათ რიცხვში კი მოიაზრება, უპირველეს ყოვლისა, აზერბაიჯანული და სომხური, ასევე ქართული და რუსული. ამდენად, კითხვარის თითოეული კითხვისთვის სავარაუდო პასუხების ჩამონათვალში ფიგურირებს ოთხივე ზემოთ დასახელებული ენა, ხოლო გამონაკლისის სახით მეხუთე ენად დავუშვით ინგლისური და/ან სხვა ევროპული ენა II ჯგუფის კითხვარში რამდენიმე კითხვისთვის, როგორცაა რომელ ენაზე / ენებზე კითხულობთ მხატვრულ ლიტერატურას, სამეცნიერო-სასწავლო ლიტერატურას, რომელ ენაზე / ენებზე გამოცემული წიგნები გაქვთ სახლში და სხვ.

წარმოგიდგინთ I ჯგუფის კითხვარის ზოგად ანალიზს, რომლებიც უკავშირდება ენის გამოყენებას შინ, ყოველდღიურ ყოფასა (თემში) და ოფიციალურ სტრუქტურებთან. კითხვარის პირველი ჯგუფის კითხვები მიემართება ენის / ენების ცოდნის ისეთ კომპეტენციებს, როგორცაა ზეპირი მეტყველება (მეტყველება და გაგებინება).

გამოკითხულ რესპოდენტთა ნახევარზე მეტი პირველ ენად აღიქვამს აზერბაიჯანულსა და სომხურს. საშინაო მოხმარების ენად (ოჯახის წევრებთან: მშობლებთან, შვილებთან, ბებია-ბაბუასთან, მეუღლეებს შორის) აზერბაიჯანელების ნახევარზე მეტი იყენებს აზერბაიჯანულს, სომხების ნახევარზე მეტი – სომხურს, მცირე ნაწილი ორივე ეთნიკური უმცირესობიდან – ქართულს და ბოლოს რუსულს. სკოლაში შესვლამდე, რესპოდენტები ყველაზე ხშირად იყენებდნენ სომხურს (53,3%) და აზერბაიჯანულს (43,3%), შემდეგ მოდის ქართული (30%) და ბოლოს რუსული (6,7%).

რაც შეეხება ენების გამოყენებას ყოველდღიურ ყოფაში სხვებთან (ოჯახს მიღმა), პირველ ადგილზე აზერბაიჯანული და სომხური დგას; მაგალითად, მეზობლებთან, უბანში (სოფელში) საუბრისას რესპოდენტები მიმართავენ სომხურსა და აზერბაიჯანულს, შემდეგ მოდის ქართული და რუსული, ხოლო უხუცესებთან – სომხურსა

და აზერბაიჯანულს, შემდეგ მოდის რუსული და ქართული; საყიდლებზე ყოფნისას, ყველაზე ხშირად მიმართავენ ქართულად საუბარს (80,0%), შემდეგ მოდის სომხური (36,7%) და აზერბაიჯანული (30%) და ბოლოს რუსული (6,7%).

რაც შეეხება ენის გამოყენებას ოფიციალურ სტრუქტურებთან, სკოლაში მასწავლებლებთან ურთიერთობისას რესპონდენტების მიერ ენების გამოყენება პროცენტულად შემდეგნაირად გამოიყურება: ქართულად 56,7%, სომხურად 53,3%, აზერბაიჯანულად 43,3% და რუსულად 20%; უნივერსიტეტებში ყველაზე ხშირად იყენებენ/იყენებდნენ ქართულ ენას (93,3%), შემდეგ მოდის აზერბაიჯანული (20%) და სომხური (16,7%) და ბოლოს რუსული (6,7%); სამსახურებში ასევე იყენებენ ქართულს (83,3%), შემდეგ მოდის აზერბაიჯანული და სომხური (30%) და ბოლოს რუსული (6,7%); მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციასთან ზეპირი ურთიერთობისას გამოიყენება ქართული ენა (96,7%), შემდეგ მოდის სომხური (13,3%), რუსული (10%) და ბოლოს აზერბაიჯანული (3,3%); სავაადმყოფოში პერსონალთან საუბრისას აბსოლუტურ უმრავლესობას უწევს ქართულად (96,7%) საუბარი, სომხურად – 23,3%-ს, რუსულად – 16,7%-ს, ხოლო აზერბაიჯანულად – 6,7%-ს; ავტოსადგურებსა და რკინიგზის სადგურების სალაროებში უმრავლესობა იყენებს ქართულს (96,7%), შემდეგ მოდის სომხური 13,3%, რუსული – 10% და აზერბაიჯანული – 3,3%; საინფორმაციო გადაცემებს (ტელევიზიით, რადიოთი, ინტერნეტით და ა.შ.) ისმენენ ქართულად 86,7%, სომხურად – 50%, რუსულად – 40%, აზერბაიჯანულად – 36,7%, ინგლისურად და სხვა ენაზე – 3,3%.

რაც შეეხება II ჯგუფის კითხვარის ზოგად დასკვნებს, ისინი უკავშირდება ენის გამოყენებას წერისა და კითხვის თვალსაზრისით. ამდენად, კითხვარის მეორე ჯგუფის კითხვები უკავშირდება ენის / ენების ცოდნის ისეთ კომპეტენციებს, როგორცაა წერისა და კითხვის უნარ-ჩვევები.

ჟურნალ-გაზეთების კითხვის დროს უმეტესობა ინფორმაციას ეცნობა ქართულ ენაზე (90%), სომხურად – 43,3%, რუსულად – 33,3%, აზერბაიჯანულად – 20%. მხატვრულ ლიტერატურას უმეტესობა კითხულობს ქართულ ენაზე (90%), სომხურად – 46,7%, აზერბაიჯანულად – 40%, რუსულად – 30%, ინგლისურად და სხვა ევროპულ ენაზე – 13,3%. სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურას უმეტესობა კითხულობს ქართულ ენაზე (93,3%), სომხურად – 30%, რუსულად – 26,7%, აზერბაიჯანულად – 23,3%, ინგლისურად და სხვა ევროპულ ენაზე – 20%. რესპონდენტთა პირადი ლიტერატურის (ე.წ. „პირადი ბიბლიოთეკის“) 90% არის ქართულენოვანი წიგნები, შემდეგ მოდის რუსულენოვანი (66,7%), სომხურენოვანი – 53,3%, აზერბაიჯანულენოვანი – 43,3%, ინგლისურენოვანი და სხვა ევროპულენოვანი – 33,3%; პირად ჩანაწერებს აკეთებს სომხურად – 50%, აზერბაიჯანულად – 43,3%, ქართულად – 40%, რუსულად – 13,3%. პირადი მიმოწერისას წერილებს (მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს) რესპონდენტები წერენ შემდეგი პროცენტული გადანაწილებით: ქართულად – 86,7%, სომხურად – 53,3%, აზერბაიჯანულად – 43,3%, რუსულად – 26,7%, ინგლისურად ან სხვა ევროპულ ენაზე – 10%. ჩანიშვნების გაკეთებისას უმეტესად გამოიყენება ქართული (66,7%), სომხური (50%), აზერბაიჯანული (40%), რუსული (16,7%).

დასკვნები

კითხვარი და მათზე გაცემული პასუხები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც გვიქმნის რეალურ და ამჟამინდელ წარმოდგენას ენობრივი სიტუაციის შესახებ, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანული და სომხური ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში.

ენობრივი სიტუაცია დროთა განმავლობაში, ბუნებრივია, იცვლებოდა და დღესაც იცვლება; რამდენიმე ათეული წლის, ან თუნდაც საუკუნის წინ სხვანაირი იყო ეთნიკურ უმცირესობათა ენობრივი სიტუაცია საქართველოში და სხვანაირია ამჟამად.

როგორც შედეგებმა აჩვენა, რესპონდენტები (18-30 ასაკობრივ ჯგუფში) ზეპირი მეტყველების მიმართულებით (მეტყველება, მოსმენა) ძირითადად იყენებენ პირველ ენას (სომხურს, აზერბაიჯანულს), წერისა და კითხვის დროს კი სახელმწიფო ენას – ქართულს. მზარდი ცვლილება გვიჩენა კითხვარის შედეგებმა განათლების ენის შემთხვევაში, ერთი მხრივ, სკოლაში და, მეორე მხრივ, უნივერსიტეტში; სკოლაში სწავლისას რესპონდენტები ყველაზე ხშირად იყენებდნენ ქართულს, სომხურსა და აზერბაიჯანულს, ხოლო უნივერსიტეტებში უმეტესობისთვის ქართული ენა ხდება ზეპირი მეტყველებისას ყველაზე აქტიური მოხმარების ენა, შემდეგ მოდის აზერბაიჯანული და სომხური, ბოლოს კი რუსული.

გამოყენებული ლიტერატურა:

- gabunia, k'. ezugbaia, l. kiria, ch'. (2010). enobrivi sit'uatsia tanamedrove sakartveloshi: *kartveluri enebi*, tb.: saimedo. (გაბუნია, კ. ეზუგბაია, ლ. ქირია, ჭ. (2010). ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში: *ქართველური ენები*, თბ.: საიმედო). ხელმისაწვდომია: <https://ccir.ge/images/pdf/enobrivi%20situacia.pdf>
- gabunia, k'. (2014). *enobrivi sit'uatsia tanamedrove sakartveloshi*, saertashoriso zhurnali mult'ilingvuri ganatlebisvis, №3, 45-69. (გაბუნია, კ. (2014). *ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში*, საერთაშორისო ჟურნალი მულტილინგვური განათლებისთვის, №3, 45-69).
- etnik'uri umtsiresobebis ts'armomadgenlebis p'olit'ik'ur tskhovrebashi monats'ileobis k'vleva, (2019). *etnik'uri umtsiresobebis ts'armomadgenlebis p'olit'ik'ur tskhovrebashi monats'ileobis k'vleva*, ghia sazogadoebis pondi. (ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა, (2019). *ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა*, ღია საზოგადოების ფონდი). ხელმისაწვდომია: <https://osgf.ge/wp-content/uploads/2019/05/Analytical-Report-ISSA-GEO.pdf>
- tandashvili, m. (2016). *enis digit'aluri dok'ument'ireba (shesavali dok'ulingvist'ik'ashi)*, batumi: shota rustavelis sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba. (თანდაშვილი, მ. (2016). *ენის დიგიტალური დოკუმენტირება (შესავალი დოკულინგვისტიკაში)*, ბათუმი: შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა).
- todradze, g. shavishvili, p'. (2018). *sakartvelos 2014 ts'lis mosakhleobis saqoveltao aghts'eris dziritadi shedegebi*, tb.: sakartvelos st'at'ist'ik'is erovnuli samsakhuri. (თოდრაძე, გ. შავიშვილი, პ. (2018). *საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები*, თბ.: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური). ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/media/20679/2014-wlis-aRweris-ZiriTadi-Sedegebi.pdf>
- topchishvili, r. (2004). *kartul-osuri enobrivi-etnik'uri urtiertoba da enobrivi sit'uatsia sakartveloshi mtskhovreb osebshi*, kartveluri memk'vidreoba, VIII, 109-119. (თოფჩიშვილი, რ. (2004). ქართულ-ოსური ენობრივ-ეთნიკური ურთიერთობა და ენობრივი სიტუაცია საქართველოში მცხოვრებ ოსებში, ქართველური მემკვიდრეობა, VIII, 109-119)
- k'omakhia, m. (2011). *etnik'uri ruk'is pormireba sakartveloshi, etnik'uri umtsiresobebis k'vlevebis seria №2*, tb.: btk'k'-p'olit'ik'is k'vlevis jgupi, etnik'uri umtsiresobebis p'rograma.

- (კომახია, მ. (2011). *ეთნიკური რუკის ფორმირება საქართველოში, ეთნიკური უმცირესობების კვლევების სერია №2*, თბ.: ბთკპ-პოლიტიკის კვლევის ჯგუფი, ეთნიკური უმცირესობების პროგრამა). ხელმისაწვდომია: https://csogeorgia.org/storage/app/uploads/public/5d8/b70/c2c/5d8b70c2c090d487831677.pdf?fbclid=IwAR3Sk7S_A9jStLwzSi7IrIDKD6hghyoLG-aRU-i_dKQ5kIjDuO_k2NbROi8
- ladaria, n. (2002). *sotsiolingvit'ik'a*. tb.: metsniereba. (ლადარია, ნ. (2002). *სოციოლინგვიტიკა*. თბ.: მეცნიერება. ხელმისაწვდომია: <http://old.ucss.ge/publication/010%20Sociolingvistika.pdf>
- sakartvelos mosakhleoba 2014 ts'lis saqoveltao aghts'eris monatsemebit*. (საქართველოს მოსახლეობა 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით). ხელმისაწვდომია: http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf
- umtsiresobata enebi sakartveloshi, (2016). *umtsiresobata enebi sakartveloshi*: k'ult'uruli simdidris gamovlineba. (უმცირესობათა ენები საქართველოში, (2016). *უმცირესობათა ენები საქართველოში: კულტურული სიმდიდრის გამოვლინება*). ხელმისაწვდომია: https://www.coe.int/t/dg4/education/minlang/aboutcharter/Minority%20languages%20in%20Georgia_GE.pdf
- piranishvili, t. (2019). *etnik'uri umtsiresobebis uplebebtan dak'avshirebuli saertashoriso st'andart'ebis mimokhilva*: sakhelmdzghvanelo, tb.: adamianis uplebebis sts'avlebisa da monit'oringis tsent'ri (EMC). (ფირანიშვილი, თ. (2019). *ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა: სახელმძღვანელო*, თბ.: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)). ხელმისაწვდომია: http://ewmi-prolog.org/images/files/6310GEO_WEB_1552474567.pdf
- khaindrava, n. (2008). *etnik'uri umtsiresobebi: dziritadi maregulirebeli saertashoriso st'andart'ebis analizi, etnik'uri umtsiresobebis k'vlebebis seria №1*, tb.: btk'k'-p'olit'ik'is k'vlevis jgupi etnik'uri umtsiresobebis p'rograma. (ხაინდრავა, ნ. (2008). *ეთნიკური უმცირესობები: ძირითადი მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი. ეთნიკური უმცირესობების კვლევების სერია №1*, თბ.: ბთკპ-პოლიტიკის კვლევის ჯგუფი ეთნიკური უმცირესობების პროგრამა). ხელმისაწვდომია: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/18105/1/Etnikuri_umtsiresobebi_Standartebi.pdf
- Ferguson, Ch. A. (1971). *Language structure and language use: Essays by Charles Ferguson*. Stanford: Stanford University Press.